

## სისხლის სამართლის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების შეფასება (ე.წ. გირგვლიანის შესწორებები)

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებს (ე.წ. „გირგვლიანის შესწორებები“). ინიციატივა პირველი მოსმენით მიღებულია. წამყვანი კომიტეტის მოთხოვნით აღნიშნულ კანონპროექტზე ბიურომ გააგრძელა განხილვის ვადა. როგორც [დასაბუთებაშია](#) მითითებული, აღნიშნულის მიზგზი არის ცალკეული საკითხების დაზუსტებისა და დამატებითი კონსულტაციების საჭიროება.

### კანონპროექტი, ინიციატორი



**საკანონმდებლო ინიციატივა:** [საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ](#)

**ინიციატორი:** საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“

### კანონპროექტის არსი



საკანონმდებლო ინიციატივა წარდგენილ იქნა ე.წ. „გირგვლიანის შესწორებების“ სახელით და გულისხმობს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულებზე პასუხისმგებლობის გამკაცრებას. კერძოდ, დასჯადი ხდება ასეთი პირის მიერ უკანონო ბრძანების გაცემა და დავალების მიცემა, ასევე მათ მიერ თანამდებობრივი უფლებამოსილებით ან მდგომარეობით ბოროტად სარგებლობა. სისხლის სამართლის რიგ მუხლებს, რომელიც ძირითადად, ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს წარმოადგენს, დამამძიმებელ გარემოებად ემატება მათი ჩადენა პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ გაცემული ბრძანების ან დავალების შედეგად. კანონპროექტის განმარტებით ბარათის [თანახმად](#) შემოთავაზებული ცვლილებები სისტემური დანაშაულის პრევენციას შეუწყობს ხელს.

### მოქმედი რედაქცია



სისხლის სამართლის მოქმედი რეგულაცია ცალკე თავად ითვალისწინებს სამოხელეო დანაშაულს. სისხლის სამართლის 332-ე მუხლის თანახმად, დასჯადია **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება**, რაც გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. სასჯელის სახით გათვალისწინებული ჯარიმა ან 6 თვიდან 2 წლამდე შინაპატიმრობა, ან/და 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, 3 წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

ამასთან ერთად დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ**, რაც ისჯება ჯარიმით ან 3-5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, თანამდებობის დაკავების ან 3 წლამდე საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.<sup>1</sup>

ამ ტიპის სამოხელეო დანაშაულებისათვის ასევე გათვალისწინებულია დამამძიმებელი გარემოებები, როგორცაა არაერთგზისობა, დანაშაულის ჩადენა ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. ასეთ შემთხვევაში სასჯელი მკაცრდება და განისაზღვრება 5-8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, 3 წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

### შემოთავაზებული ცვლილება



1. კანონპროექტის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება სპეციალური ნორმა - **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უკანონო ბრძანების გაცემა ან დავალების მიცემა**. დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა დადგება პირის მიერ უკანონო ბრძანების გაცემის ან დავალების მიცემის მომენტიდან, მიუხედავად იმისა რა შედეგი მოყვება მის ამგვარ ქმედებას. სასჯელის სახედ გათვალისწინებულია 5-8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე.

პასუხისმგებლობა მძიმდება და შესაბამისად სასჯელიც მკაცრდება თუ ბრძანებას ან დავალებას მოჰყვა შესაბამისი კონკრეტული შედეგი: დიდი ოდენობით ქონების გამოძალვა ან დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება ან ყაჩაღობის გზით დიდი ოდენობით ნივთის დაუფლება და სხვა შემთხვევები.

2. სისხლის სამართლის კოდექსს ემატება ასევე სპეციალური ნორმა - **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ თანამდებობრივი უფლებამოსილებით ან მდგომარეობით ბოროტად სარგებლობა**. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ სუბიექტს. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი დადგება უფლებამოსილების ან მდგომარეობის ბოროტად სარგებლობის მომენტიდან მიუხედავად იმისა თუ რა შედეგი მოყვება ამ ქმედებას.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის დამძიმება, თუ მის შეთავაზებას დანაშაულის უშუალო აღმსრულებლის მხრიდან მოჰყვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა ან შეუტყობინებლობა.

დასჯადი ხდება აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით, პირისათვის შეთავაზება რომ მან დაიბრალოს, დაფაროს ან არ შეატყობინოს დანაშაული, რისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია 4-7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვადით 3 წლამდე.

იგივე ქმედება, რასაც მოჰყვება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა ან შეუტყობინებლობა, დაისჯება 5-8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე.

3. გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მძევლად ხელში ჩაგდების, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, ყაჩაღობის და სხვა დანაშაულების შემთხვევაში **დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრება მათი ჩადენა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უკანონო ბრძანების, დავალების შედეგად**.

### შეფასება/რეკომენდაცია



წარმოდგენილი ინიციატივა ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსში სამოხელეო დანაშაულთა წრის გაფართოებას და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ სამოხელეო დანაშაულებზე პასუხისმგებლობის გამკაცრებას, ამასთან ერთად რიგ შემთხვევებში ხდება დამატებით დამამძიმებელი გარემოებების შემოღება. ამ მიმართულებით წარმოდგენილი ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა ამასთან ერთად გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხიც:

- შემოთავაზებული ცვლილება არ ვრცელდება ისეთ პირებზე რომლებიც საჯარო სამსახურის შესახებ კანონიდან გამომდინარე არ წარმოადგენენ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს. ამ მხრივ კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე ვერ ექცევა ცვლილებების რეგულირების ქვეშ. ამ ინიციატივის მიზნიდან და სუსის უფროსის და მისი მოადგილის სტატუსის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია რომ შემოთავაზებული დანაშაულის შემადგენლობების სუბიექტი ასევე იყოს სუსის უფროსიც და მისი მოადგილე.

1 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილი